სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

მატჩი	ქუთაისის „არესი“ - რუსთავის „ხარები“		
შეჯიბრი	რუსთავის „ხარები“		
მატჩის თარიღი	13/04/2025	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	ანარე	მოთამაშის გვარი	ტუიტაი
კლუბი/გუნდი	რუსთავის „ხარები“	დაბადების თარიღი	06-03-1995
მსაჯი/საითინგ კომისრი	მსაჯი - შოთა თევზაძე		
ბინძური თამაში	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	☐ აღიარებულია ☒ არ არის აღიარებული
დარღვევა	**9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა**	წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა ☐ თუ „სხვა“ დააზუსტეთ:	
სანქცია	3(სამი) კვირა/თამაში		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	15/04/2025	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.		
მოთამაშის დასწრება	კი ☐ არა ☐	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი ☒ არა ☐
მოთამაშის წარმომადგენელი	მწვრთნელი -ირაკლი ნატრიაშვილი;	სხვა დამსწრეები;	

	წარმომადგენელები - ზაზა ხუციშვილი, გიორგი ნოზაძე.		
მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე მიწოდებული დოკუმენტაცია	მატჩის მსაჯის შოთა თევზაძის წითელი ბარათის ოქმი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;		

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები

(მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის შოთა თევზაძის წითელი ბარათის ოქმი(ციტირება) - ეკრანთან მისვლის შემდეგ დავინახე, რომ მოთამაშემ გააკეთა გამართული ბოჭვა. კონტაქტი იყო პირდაპირ თავთან რის გამოც მივეცი წითელი ბარათი. ამ მომენტში ეკრანი ირეკლავდა შუქს, რის გამოც ვერ დავინახე შემამსუბუქებელი გარემოება; მთავარი დარტყმის ძალა იყო მხარზე და შემდეგ იყო კონტაქტი თავთან. რაც შემდგომ ვიდეოანალიზზე დანახვადი იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ რომ ეს მოთამაშე იმსახურებდა ყვითელ ბარათს.
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა - თამაშის 72-ე წუთზე (ტელეტრანსლაციის დრო) „არესი“ მოწინააღმდეგის ნახევარზე მოწოდებული აუტის შემდეგ ათამაშებს ბურთს. ბურთს ეუფლება „არესი“-ს #15(ცოტნე კვესელავა) რომელსაც ბოჭავს „ხარები“-ს #14 (ანარე ტუიტაი). მბოჭავი მოთამაშე საკმარისად არ არის მოხრილი ლეგალური ბოჭვის შესასრულებლად, სხეულის მოძრაობა არის ქვემოდან ზემოთ მიმართული და მარცხენა მხრის წინ მოძრაობით, მხრით/მკლავის ზედა ნაწილით, სახეში(ყბაში) ეჯახება ბურთიან მოწინააღმდეგეს. დაშავებულმა მოთმაშემ (არესის #15) სამედიცინო დახმარების შემდეგ გააგრძელა თამაში. მსაჯმა ვიდეოგადამოწმების შემდეგ წითელი ბარათით გააძევა ანარე ტუიტაი („ხარები“-ს #14).
3. შოთა თევზაძის განცხადებით, თამაშის შემდეგ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის მიზეზი გახდა ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის დეტალური განხილვა, რა დროსაც მან აღმოაჩინა შემამსუბუქებელი გარემოება. კერძოდ, შეჯახების დროს მბოჭავი მოთამაშის მხრიდან პირველი კონტაქტი იყო მოწინააღმდეგე მოთამაშის მხართან. რაც შოთა თევზაძის განცხადებით შემამსუბუქებელი გარემოებაა და შესაბამისად „ხარები“-ს მოთამაშის ანარე ტუიტაის ქმედება არ იყო წითელი ბარათის ტოლფასი. კომისიის კითხვაზე იყო თუ არა სხვა რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება, მაგალითად ბურთიანი მოთამაშის სიმაღლის ცვლილება, შოთა თევზაძის განცხადებით, ბურთიანი მოთამაშის სიმაღლის ცვლილება მის მიერ არ იქნა განხილული როგორც დარღვევის ერთერთი შემამსუბუქებელი გარემოება.

სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)
არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება
1. „ხარები“-ს მოთამაშემ ანარე ტუიტაიმ მოედანზე არ გააპროტესტა წითელი ბარათი. ანარე ტუიტაის განცხადებით, მისი ქმედება არ იყო წითელი ბარათის ტოლფასი. 2. „ხარები“-ს მწვრთნელის ირაკლი ნატრიაშვილის განცხადებით, ანარე ტუიტაის ბოჭვა იყო ბინძური თამაში, თუმცა შემამსუბუქებელი გარემოების გამო, რაც გამოხატული იყო ბურთიანი მოთამაშის სიმაღლის ცვლილებით, არ იმსახურებდა წითელ ბარათს.

ფაქტობრივი მოცემულობაზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა
სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის, მხარეთა მოსმენის და მსჯელობის შემდეგ, სადისციპლინო კომისია განმარტავს : 1. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #5 – **პრაქტიკული განმარტება - გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი.** თამაშის კონკრეტული წესის დარღვევის შემთხვევაში სადისციპლინო კომისიას მოეთხოვება მოთამაშის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმის შეფასება. შეფასებისას ერთერთ მთავარ მოცემულობას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, დარღვევა იყო **შეგნებული/განზრახული** თუ **გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი**, რადგან დარღვევის **უნებლიე/შემთხვევითად** შეფასების შემთხვევაში, შემდგომი სანქცირება არ განიხილება.მსოფლიო რაგბის მე-17 რეგულაციაში ტერმინი **გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი** განმარტებულია, როგორც: **იცოდა თუ არა მოთამაშემ (ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას), რომ არსებობდა თამაშის წესების დარღვევის რისკი.** სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები, მსოფლიო რაგბის მე-17 რეგულაციის თანახმად, ანალოგიურად ახდენს მოთამაშის მიერ თამაშის წესების დარღვევის შეფასებას (გარდა **უნებლიე/შემთხვევითი**-სა), რათა უზრუნველყოს მოთამაშეთა უსაფრთხოება და ტრავმების თავიდან აცილება, როგორც უმნიშვნელოვანესი პრინციპი, დინამიკურ, ფიზიკურ და კონტაქტურ სპორტში. **მოთამაშეებს ეკისრებათ ვალდებულება, არ მიაყენონ ტრავმა მოწინააღმდეგეს, ამიტომ არსებობს პრეზუმფცია, რომ ნებისმიერი საქციელი რომელიც აღწერილია მსოფლიო რაგბის თამაშის წესების მე-9 წესში, ექვემდებარება სანქცირებას.** მოთამაშე მოქმედებს **გაუფრთხილებლად/წინდაუხედავად**, თუ ქმედების წინ არ ითვალისწინებს, რომ არსებობს თამაშის წესების დარღვევის ალბათობა ან აცნობიერებს რა რისკის არსებობას, მაინც მოქმედებს. მაგალითად, როდესაც მოთამაშე გადაწყვეტს შებოჭოს მოწინააღმდეგე მკერდის არეში, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოწინააღმდეგე ბოჭვის თავიდან აცილების მიზნით მკვეთრად შეიცვლის სიმაღლეს(მოიხრება) და მოხდეს კონტაქტი ყელის/კისრის ან თავის არეში, რაც თამაშის წესების უხეში დარღვევაა და შეფასდება როგორც **გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი.** 2. არსებული ვიდეომასალის მიხედვით, კომისიამ ვერ გაიზიარა მატჩის მსაჯის შოთა თევზაძის განცხადება, თამაშის შემდეგ დარღვევის განხილვის დროს აღმოჩენილი შემამსუბუქებელი გარემოების შესახებ, რომელიც მსაჯის განმარტებით იძლეოდა დარღვევის ყვითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესაძლებლობას. 3. ვიდეომასალის მიხედვით აშკარაა დამრღვევი მოთამაშის მიერ არასწორად შესრულებული ბოჭვა, რაც გამოიხატა:

სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

ა) ანარე ტუიტაი ბოჭვის მომენტში საკმარისად არ არის მოხრილი ლეგალური ბოჭვის შესასრულებლად;

ბ) მბოჭავის სხეულის მოძრაობა მიმართულია ქვევიდან ზევით;

გ) ანარე ტუიტაის გააჩნდა საკმარისი დრო, სივრცე და მხედველობის არე, რათა მომზადებულიყო ლეგალური ბოჭვის შესასრულებლად;

4. ვიდეომასალის მიხედვით აშკარად ჩანს პირდაპირი კონტაქტი ანარე ტუიტაის მკლავის ზედა ნაწილით მოწინააღმდეგის სახესთან (ყბაში). რაც გამოიხატა კონტაქტის მომენტში ბურთიანი მოთამაშის თავის უკან მკვეთრი ვარდნით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სადისციპლინო კომისიამ დადგენილად ცნო „ხარები“-ს მოთამაშის ანარე ტუიტაის მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.13 პუნქტის დარღვევა, რომელიც იმსახურებდა წითელ ბარათს.

კომისია აქვე განმარტავს, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს მიხედვით - **ბინძური თამაშის ნებისმიერი შემთხვევა, რომლის დროსაც მოთამაშე ბინძური თამაშის შედეგად ახდენს კონტაქტს თავის და/ან კისრის არეში და ეს ბინძური თამაში წითელი ბარათის ტოლფასია, განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით.**

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია ☐ დადგენილია ☒ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐

სანქცირების პოცესი

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით **დარღვევის სიმძიმის შეფასება**

სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)	
შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐	**წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☒
დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები	
დამრღვევი მოთამაშის წინდაუხედავი ქმედება;	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)	
მხარი/მკლავის ზედა ნაწილი	
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)	
არა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)	
ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)	
დაშავებულმა მოთამაშემ სამედიცინო შემოწმების შედეგ გააგრძელა თამაში;	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)	
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ)	
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ)	
შესრულდა	
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)	

დარღვევის სიმძიმის ზღვარი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* ☐	შუა ზღვარი ☒	ქვედა ზღვარი ☐
კვირა/თამაში	**6(ექვსი)** კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
აღიარა დარღვევა და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა: 3

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :
შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს 9.13 პუნქტის დარღვევისთვის შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა:

სადისციპლინო გადაწყვეტილება #66

2024-2025 წლის სათამაშო სეზონი

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	3(სამი) კვირა/თამაში	**წითელი ბარათი საკმარისია** ☐
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	16/04/2025	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	12/05/2025	
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	არმია-ხარები(25/04/2025); წინასწარი ფინალი(04/05/2025); დიდი ფინალი (11/05/2025).	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)		

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე **ხელმოწერა**	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	16/04/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf